

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ზღვის უბნის დასახლების III მიკრო/რ-ნის I კვარტალში არსებული უსახელო სკვერისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი ჯოჯუას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:


1. ნაძალადევის რაიონში, ზღვის უბნის დასახლების III მიკრო/რ-ნის I კვარტალში არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი ჯოჯუას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





საქართველოს თავდაცვის სამინისტრო



MOD 2 21 00856006

25/08/2021

თბილისის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ მიხეილ ამაშუკელს

ბატონო მიხეილ,

მოგესენებათ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, სამშვიდობო მისიებსა და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მებრძოლების სახელების უკვდავსაყოფად საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში მათი სახელები მინიჭებული აქვს ქუჩებს, სკვერებს, სკოლებს, ხიდებს, სპორტულ დარბაზებს, ღონისძიებებს და ა.შ.

ამასთან გაცნობებთ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტი დაღუპული გმირების სახელების უკვდავსაყოფად აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან.

აქვე გაცნობებთ, რომ დეპარტამენტში შემოვიდა 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული გიორგი ჯოჯუას მეუღლის მანანა ქანთარიას განცხადება, სადაც გამოთქვამს სურვილს, რომ თბილისის რომელიმე ქუჩას (სკვერს, სკოლას) მიენიჭოს დაღუპული გმირის სახელი.

მანანა ქანთარიასთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ომში დაღუპული გმირის მშობლები ცხოვრობენ ქ.თბილისში, თემქის მე-3 მიკრორაიონის პირველი კვარტლის მე-4 კორპუსში.

აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული გიორგი ჯოჯუას ხსოვნის საპატივსაცემოდ, თბილისში რომელიმე ქუჩის მონაკვეთს (სკვერს, სკოლას) მიენიჭოს "გიორგი ჯოჯუა" -ს სახელი.

პატივისცემით,

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო / სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კარლო ლაბაძე

